



არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის შედეგები საქართველოში

ქეთევან აბულაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან აბულაძე

01.07.2019

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოში არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის შედეგები. განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ფორმას, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს წარმოადგენს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანის განვითარება, რეინტეგრაცია და ახალი დანაშაულის პრევენცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა არასრულწლოვანის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომასა და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მისი საუკეთესო ინტერესის დაცვას. აღნიშნული კოდექსიხაზს უსვამს არასრულწლოვანის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, მცირე დროით.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს არასრულწლოვანის მიმართ განრიდების გამოყენების წინაპირობები, განრიდების ღონისძიებები, ეროვნულ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული პრობლემები და გამოწვევები. შესაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს განრიდება არასრულწლოვანის რეინტეგრაციას, რეაბილიტაციასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

აღნიშნული კვლევა თეორიული ნაშრომის სტრუქტურას ეფუძნება. აღნიშნული კვლევის ფარგლებში მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო დოკუმენტები და ადგილობრივი კანონმდებლობა, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული დოკუმენტების შედარებას, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების პოვნას, რათა დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები.

არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული სახის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებთან. ეროვნული კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო პრინციპებს და ძირითად სტანდარტებს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

სამიეზო სიტყვები: არასრულწლოვანი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, განრიდება, მედიაცია, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია.

Abstract

The master's work deals with the results of the Juvenile Diversion Program in Georgia. The form of dismissal from criminal responsibility is an alternative mechanism of criminal prosecution that should ensure the development, reintegration of the juvenile and prevent the new crime.

Juvenile Justice Code has given an important role in the individual approach to the juvenile and the best interest in making any decisions. This Code emphasizes the use of deprivation of liberty to a minor only in the extreme case, as short as possible.

The purpose of the Master's Thesis is to study prerequisites for diversion of juveniles, diversion measures, national legislation and challenges and challenges in practice. To assess whether it is necessary to reintegrate a juvenile, rehabilitate and avoid a new crime.

This research is based on the structure of the theoretical work. Within the scope of this research, scientific literature, international documents and local legislation are aimed at comparing these documents, finding faults in legislation and practices to determine ways to solve the problem.

While studying the Juvenile Diversion Program there were some problems related to practice. National legislation is mainly compatible with international principles and basic standards, which should be assessed positively.

Search term: Juvenile, criminal responsibility, diversion, mediation, rehabilitation, resocialization.